საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება 437

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა

და

თვითმმართველ ერთეულს

თიანეთის მუნიციპალიტეტს შორის

თიანეთის მუნიციპალიტეტისათვის ნაგვის მანქანებისა და გადასატანი ნაგვის ურნების შესყიდვის შესახებ

საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება

საინვესტიციო დაფინანსების წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში **„ხელშეკრულება“**) გაფორმდა 2010 წლის 17 დეკემბერს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში **„ფონდი“**, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შექმნილი 1997 წლის 7 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის №294 ბრძანებულების საფუძველზე შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით) და თვითმმართველ ერთეულ თიანეთის მუნიციპალიტეტს (შემდგომში **„მუნიციპალიტეტი“**) შორის, რომლებიც ამიერიდან ერთობლივად იწოდებიან **„მხარეებად“**, ხოლო თითოეული მათგანი - **„მხარედ“**.

პრეამბულა

იმის გათვალისწინებით, რომ

(ა) საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისაგან 2009 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში (შემდგომში **„სასესხო ხელშეკრულება“**) მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის – ფაზა II (შემდგომში **„პროექტი“**) მიზნებისათვის;

(ბ) ფონდი, როგორც პროექტის განმახორციელებელი უწყება, განახორციელებს თიანეთის მუნიციპალიტეტისათვის ნაგვის მანქანებისა და გადასატანი ნაგვის ურნების შესყიდვის შესახებ მუნიციპალური მომსახურების განვითარების მიზნით (**“ქვეპროექტი“**), რომელიც დაფინანსდება გრანტის საფუძველზე სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იმ პირობებისა და დებულებების ნათლით, რომლებიც წარმოდგენილია იმავე თარიღით გაფორმებულ საპროექტო ხელშეკრულებაში და ფონდის სამოქმედო სახელმძღვანელოში;

(გ) საპროექტო ხელშეკრულების ფარგლებში მისი ვალდებულებების შესრულების მიზნით ფონდს (და მის შესაბამის წარმომადგენლებს, აგენტებს, კონსულტანტებსა და კონტრაქტორებს) ჭირდება ქვეპროექტის გარკვეული აქტივებით სარგებლობის უფლება და მუნიციპალიტეტი მზად არის მიანიჭოს მას ამგვარი უფლება;

(დ) ფონდი და მუნიციპალიტეტი აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას ქვეპროექტის განხორციელებაში მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით.

შედეგად, ზემოთ მოყვანილისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ურთიერთ ვალდებულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

I მუხლი

ქვეპროექტის აღწერა

1.1 ქვეპროექტის მიზანია თიანეთის მუნიციპალიტეტისათვის ნაგვის მანქანებისა და გადასატანი ნაგვის ურნების შესყიდვა (2 ნაგვის მანქანა და 100 ნაგვის ურნა).

1.2 ქვეპროექტის საბაზისო ღირებულება შეადგენს 297,708.81 (ორასოთხმოცდაცვიდმეტი ათას შვიდასრვა ლარი და ოთხმოცდაერთი თეთრი) ლარს. ქვეპროექტის საბაზისო ღირებულება ემყარება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებაში შესვლის პერიოდისათვის არსებულ სამუშაოთა ღირებულებასა და კონკურსში გამარჯვებული კონტრაქტორის საკონკურსო წინადადების ფასს.

1.3 დაფინანსების ვალდებულებები: ფონდი გრანტის სახით დააფინანსებს ქვეპროექტის საბაზისო ღირებულების 85%-ს, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს 15%-ს. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ზემოთადნიშნული პროპორციით დააფინანსონ ქვეპროექტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი დამატებით სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები.

1.4 ქვეპროექტის განხორციელების საორიენტაციო პერიოდია: სამი თვე.

1.5 შემოთავაზებული ქვეპროექტი წარმოადგენს პრიორიტეტს მუნიციპალიტეტის წერილობითი ოფიციალური თხოვნისა და აუცილებლობის კონტექსტში.

II მუხლი

მუნიციპალიტეტის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

2.1 მუნიციპალიტეტმა უნდა მიანიჭოს ფონდს და მის წარმომადგენლებს შესაბამისი საქონლის, სამუშაოების, ნახაზერების, დოკუმენტაციის და ქვეპროექტთან დაკავშირებული აქტივების შემოწმების უფლება.

2.2 მუნიციპალიტეტმა უნდა ითანამშრომლოს ფონდთან იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ქვეპროექტის განხორციელების ხელშესაწყობად.

2.3 მუნიციპალიტეტმა ფონდთან ერთად უნდა დაადასტუროს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობები, რომელსაც წარმოადგენს ქვეპროექტის ფარგლებში საქონლის მისაწოდებლად, სამუშაოების ან მომსახურების განსახორციელებლად შერჩეული კონტრაქტორი.

2.4 მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ქვეპროექტის ფარგლებში გამოყოფილი ობიექტის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე. მუნიციპალიტეტმა სათანადო გულმოდგინებითა და ეფექტურობით უნდა მართოს ქვეპროექტი მდგრადი ადმინისტრაციული, ფინანსური, ბიზნეს და გარემოსდაცვითი

პრაქტიკის შესაბამისად სათანადო ანგარიშებისა და დოკუმენტაციის წარმოების ჩათვლით.

2.5 მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ყველა იმ ნებართვისა და/ან ლიცენზიის მოპოვებაზე, რომელიც აუცილებელია ქვეპროექტის განსახორციელებლად.

2.6 მუნიციპალიტეტმა უნდა დააფინანსოს (გაიღოს სახსრები) საკუთარი რესურსებიდან ქვეპროექტის ღირებულების მინიმუმ 15%. ფონდის შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა მოთხოვნილი თანხა ლარებში უნდა გადარიცხოს ფონდის სპეციალურ ანგარიშზე:

საქართველოს ბანკი, ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი 220 101 502
ა/ა № GE28BG0000000264040902 /GEL
მიმღების დასახელება– სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ს/კოდი 206 074 193

III მუხლი

ფონდის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

3.1 ქვეპროექტის განხორციელებისათვის ფონდი აფინანსებს ქვეპროექტის ღირებულების 85%-ს დონორების დაფინანსების გამოყენებით.

3.2 ფონდმა ქვეპროექტის ფარგლებში საჭირო ყველა შესყიდვის პროცედურა უნდა ჩაატაროს შესყიდვების გეგმის შესაბამისად.

3.3 ფონდმა უნდა განახორციელოს სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, რაც ითვალისწინებს თითოეული კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარჯების და ხარისხის შესაბამისობას ფონდთან შეთანხმებულ ტექნიკურ სპეციფიკაციებსა და ბიუჯეტთან.

3.4 ფონდს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ქვეპროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეიტანოს ცვლილება მასში, თუ ამგვარი ცვლილება ტექნიკურად აუცილებელია და დასაბუთებულია.

3.5 ფონდი მიაწოდებს მუნიციპალიტეტს კონტრაქტორებთან ხელმოწერილი მომსახურების/მიწოდების კონტრაქტების ასლებს.

IV მუხლი

საქონლის, სამუშაოების და მომსახურების ჩაბარება, მიღება და გადახდა

4.1 მომსახურების/მიწოდების კონტრაქტის ფარგლებში კონტრაქტორის მიერ სამუშაოების დასრულების, საქონლის მიწოდების ან მომსახურების

განხორციელების შემდეგ მათი მიღება განხორციელდება მონაწილე მხარეების, ფონდის, მუნიციპალიტეტის და შესაბამისი კონტრაქტორის წარმომადგენლების თანდასწრებით. შემოწმდება კონტრაქტის შესრულება და თუ მიჩნეული იქნება, რომ ის დამაკმაყოფილებელია და შეესაბამება მომსახურების/მიწოდების შესაბამისი კონტრაქტის მოთხოვნებს, მაშინ (ა) ფონდი, მუნიციპალიტეტი და შესაბამისი კონტრაქტორი გააფორმებენ კონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამუშაოების და/ან მომსახურების მიღების აქტს („**მიღების აქტი**") და (ბ) განხორციელდება საბოლოო გადახდა კონტრაქტორისადმი და ფონდი დააკავებს შესაბამის თანხებს მომსახურების/მიწოდების კონტრაქტის თანახმად.

4.2 მუნიციპალიტეტმა და ფონდმა უნდა ითანამშრომლონ (ა) სამუშაოთა მიღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად მომსახურების/მიწოდების კონტრაქტის ფარგლებში; (ბ) მიღების აქტის გასაფორმებლად; (გ) ყველა სხვა ზომის განხორციელებისას, რომელიც აუცილებელია ქვეპროექტის შესასრულებლად და ქვეპროექტის აქტივების გადასაცემად. ქვეპროექტის აქტივების გადაცემასა და ქვეპროექტის ამოქმედებასთან ერთად მუნიციპალიტეტი წინამდებარე დოკუმენტით აცხადებს თანხმობას დაიცვას სათანადო საერთაშორისო ეკოლოგიური პრაქტიკის მოთხოვნები და უზრუნველყოს ქვეპროექტის ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი წესებისა და სტანდარტების, ასევე ამ თარიღისათვის არსებული გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად, როგორც ამას ითვალისწინებს აზიის განვითარების ბანკის ეკოლოგიური პოლიტიკა.

V მუხლი

ცვლილებები, დამატებები და შეტყობინება

5.1 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და ისინი წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

5.2 ხელშეკრულების იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც არ განხორციელდა წინამდებარე მუხლში მოცემული წესების შესაბამისად, არა აქვთ იურიდიული ძალა.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა მათი ხელმოწერის თარიღიდან ან მათში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა თარიღიდან.

VI მუხლი

ეფექტურობა, მოქმედების ვადა, შეჩერება

6.1 ~~ეფექტურობა~~. წინამდებარე ხელშეკრულება ეფექტური გახდება ორივე მხარის მიერ მისი იურიდიული გაფორმების შემდეგ („**ეფექტურობის თარიღი**").

6.2 <u>მოქმედების ვადა</u>. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: (I) საპროექტო ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან ვადის გასვლამდე („**მოქმედების ვადა**") და (II) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, იმის მიხედვით, თუ რომელი მოვლენა მოხდება უფრო ადრე.

6.3 <u>შეჩერება</u>. მხარეები თანხმდებიან, რომ ფონდს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მუნიციპალიტეტისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რის შემდეგაც ფონდი შეაჩერებს ყველა საქმიანობას ქვეპროექტის ფარგლებში. შეჩერება ძალაში იქნება, სანამ ფონდი წერილობითი სახით არ გააუქმებს მას.

VII მუხლი

უთანხმოებათა გადაჭრა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაჭრილი უნდა იქნეს მხარეების მიერ მოლაპარაკების საფუძველზე.

7.2 თუ 30 დღის განმავლობაში ამგვარი მოლაპარაკებების შედეგად არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

VIII მუხლი

სხვადასხვა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ერთი მხარის მიერ მეორისადმი მოთხოვნილი, ნებადართული ან წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინება, სერთიფიკატი, მოთხოვნა, ანგარიში, თანხმობა, დოკუმენტი ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ა) წერილობით, ბ) ქართულ ენაზე, გ) ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან ნებისმიერ სხვა მისამართზე, რომელსაც დაადგენენ მხარეები ერთმანეთისადმი შეტყობინების საფუძველზე:

თიანეთის მუნიციპალიტეტი
რუსთაველის ქ. №67, დაბა თიანეთი 2500, საქართველო
ტელ: (995 95) 221636
ფაქსი: (8248) 91434
საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი წიკლაური

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
დავით აღმაშენებლის გამზირი №150, თბილისი 0112, საქართველო
ტელ: (995 32) 484510, 484511, 484515
ფაქსი: (995 32) 484555
აღმასრულებელი დირექტორი: ლევან ჭიჭინაძე

8.2 როდესაც წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შესაბამისად შეტყობინების გაგზავნის ან რაიმე ქმედების განხორციელების თარიღი ემთხვევა

არასამუშაო დღეს, აღნიშნული ვადა უნდა გახანგრძლივდეს შემდეგ სამუშაო დღემდე.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და განიმარტება მის შესაბამისად.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება არ აფუძნებს ერთობლივ საწარმოს, არ ქმნის პარტნიორულ ან სხვა მსგავს ურთიერთობას მხარეებს შორის.

8.5 თავებისა და ქვეთავების სათაურები მხოლოდ მოხერხებულობისათვის არის შეტანილი და არ უნდა იქნეს გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულების განმარტების ან ინტერპრეტირების დროს.

8.6 წინამდებარე ხელშეკრულება მომზადდა და გაფორმდა ქართულ ენაზე და თუ თავს იჩენს რაიმე გაურკვევლობა ან შეუსაბამობა ქართულ ოფიციალურ ვერსიასა და ნებისმიერ სხვა ენაზე თარგმანს შორის, რომელიც მხარეთა მოხერხებულობისათვის შესრულდა, უპირატესობა ენიჭება ოფიციალურ ვერსიას ქართულ ენაზე.

ზემოთქმულის დასამოწმებლად, მხარეები თავიანთი სახელით ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ აღნიშნულ წელსა და რიცხვში.

თიანეთის მუნიციპალიტეტის სახელით

საკრებულოს თავმჯდომარე **გივი წიკლაური**

ბ. ა.

საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდის სახელით

აღმასრულებელი დირექტორი **ლევან ჭიჭინაძე**

ბ. ა.

ხელშეკრულების დამატება №1

„თიანეთის მუნიციპალიტეტისათვის ნაგვის მანქანებისა და გადასატანი ნაგვის ურნების შესყიდვის ქვეპროექტის განხორციელების შესახებ" სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თვითმმართველ ერთეულს თიანეთის მუნიციპალიტეტს შორის 2010 წლის 17 დეკემბერს გაფორმებულ საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულებაზე

წინამდებარე ხელშეკრულების დამატება №1 (შემდგომში „დამატება") გაფორმდა და ძალაში შევიდა დღეს, 2011 წლის 11 აგვისტოს (შემდგომში „ძალაში შესვლის თარიღი").

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ლევან ჭიჭინაძის სახით და მეორეს მხრივ, თვითმმართველი ერთეული თიანეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გივი წიკლაურის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

პუნქტი 1.1. ქვეპროექტის მიზანია თიანეთის მუნიციპალიტეტისათვის ნაგვის მანქანებისა და გადასატანი ნაგვის ურნების შესყიდვა (2 ნაგვის მანქანა და 100 ნაგვის ურნა). საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თვითმმართველ ერთეულ თიანეთის მუნიციპალიტეტს შორის 2010 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება") შესაბამისად თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის 2011 წლის 11 და 26 თებერვალს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების და საგადახდო მოთხოვნა №13084, საგადახდო დავალება №241419, საგადახდო მოთხოვნა №120, საგადახდო დავალება №447 (თან ერთვის) საფუძველზე, ქვეპროექტის ფაქტიური ღირებულება განისაზღვროს 272,759.33 (ორასსამოცდათორმეტი ათას შვიდასორმოცდაცხრამეტი ლარი და 33 თეთრი) ლარის ოდენობით.

პუნქტი 1.2. წინამდებარე დამატება მოქმედებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

პუნქტი 1.3. წინამდებარე დამატება წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თვითმმართველ ერთეულს თიანეთის მუნიციპალიტეტს შორის 2010 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

აღმოხსენებულის დასამოწმებლად, მხარეების სათანადოდ უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა გააფორმეს წინამდებარე დამატება ზემოთ აღნიშნულ წელსა და რიცხვში.

თიანეთის მუნიციპალიტეტის სახელით
საკრებულოს თავმჯდომარე — გივი წიკლაური

საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდის სახელით
აღმასრულებელი დირექტორი — ლევან ჭიჭინაძე